



Sustainable Management of Biodiversity, South Caucasus

**ქარსაცავი ზოლების სამართლებრივი მდგომარეობა
საქართველოში**

Assessment of legal status of windbreaks in Georgia

ანანო ბერიძე

Anano Beridze

Working Papers – 49/2012

სარჩევი

I. მოხსენების მიზანი და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელობა	1
II. ქარსაცავი ზოლების სამართლებრივი მდგომარეობა	2
1) სამართლებრივი ნორმები ქარსაცავი ზოლების შესახებ	2
2) საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ	2
III. ქარსაცავი ზოლების დაცვა და კონტროლი თბილისსა და მის შემოგარენში	4
1) ბუნებრივი რესურსების სააგენტო	4
2) ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური	
IV. ქარსაცავი ზოლები საქართველოს რეგიონებში (დედოფლისწყარო)	4
1) ფერმებისათვის გამოყოფილი ტერიტორიების არარსებობა	5
2) გარემოს დაცვის ინსპექცია	5
3) ზედამხედველობის სამსახურის როლი ქარსაცავი ზოლების დაცვის კუთხით	6
4) პოლიცია	
5) სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობა	6
6) ფინანსური მხარდაჭერა	8
V. რეკომენდაციები	9
1) არსებული სამართლებრივი ნორმების დახვეწა	10
ა) ქარსაცავი ზოლის ცნება	10
ბ) საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ	10
გ) ქარსაცავი ზოლების დაზიანება ხანძრის შედეგად	11
2) ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავების საჭიროება	12
7. დანართი	12
კანონებისა და ნორმატიული აქტების ჩამონათვალი	14
შეხვედრები	14

Content

I. Aim of the report and the importance of windbreaks	15
II. Legal status of windbreaks	15
1) Law regulations about windbreaks	15
2) Georgian Law on property of agricultural lands	16
III. Protection and controlling the windbreaks in Tbilisi and its surrounding territories	
1) Agency of Natural Resources	16
2) The Department of Ecology and Green Spaces	16
IV. Windbreaks in the regions of Georgia	17
1) Nonexistence of farm territories	18
2) Inspection of Environmental Protection	18
3) The role of Supervision Service in protecting the windbreaks	18
4) Police	18
5) Cooperation with the Ministry of Agriculture	19
6) Financial support	19
V. Recommendations	20
1) Improvement of existed law regulations:	20
a) Definition of the windbreak	20
b) Georgian Law on property of agricultural lands	20
c) Damaging of the windbreaks caused by fire	21
2) Importance of adoption of separate Regulation about windbreaks	21
VI. Enclosure	21
List of Laws and Normative Acts	23
Meetings	23
	23

I. მოხსენების მიზანი და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელობა

წინამდებარე მოხსენების მიზანია ქარსაცავი ზოლების შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმების წარმოდგენა და მათი შეფასება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს ქარსაცავი ზოლების მარეგულირებელი ნორმები, ძალიან რთულია მათ სამართლებრივ მდგომარეობაზე საუბარი. თუმცა, არსებობს რამდენიმე „ხელმოსაჭიდი“ რეგულაცია, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რეალურად რა როლი ენიჭება ქარსაცავ ზოლებს საქართველოს გარემოს დაცვის კუთხით და რამდენად შესაბამისობაშია ეს ნორმები ქართულ რეალობასთან. სწორედ პრაქტიკული მაგალითების განხილვის შედეგად ხდება ნათელი, თუ სამართლებრივად რამდენად დაურეგულირებელია ქარსაცავი ზოლების, მათი დაცვისა და კონტროლის მექანიზმები.

საქართველოში ოდითგანვე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის მეურნეობას. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავ-სათესი მიწების ქარისა და სხვა ბუნებრივი თუ არაბუნებრივი საფრთხისაგან დაცვის მიზნით საქართველოს რეგიონებში მრავალი წლის მანძილზე არსებობს ქარსაცავი ზოლების გაშენების კულტურა. 90-იან წლებში, მიწის პრივატიზების შესახებ კანონის მიღებამდე ქარსაფარი ზოლების დაცვის მოვალეობა ავტომატურად ეკისრებოდა როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ხოლო მას შემდეგ, რაც მიწების პრივატიზება მოხდა, ფაქტობრივად არ არსებობს რეგულაციები ქარსაცავი ზოლების გაშენების, მათი მოვლა-პატრონობისა და მათი დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ. საქართველოს რეგიონებში მრავალი წლის წინ გაშენებული ქარსაცავი ზოლები სრულიად მოუვლელია და მათზე ზედამხედველობას არავინ ახორციელებს. გზების გასწვრივ დარგულ ხეთა უმეტესობა ან იჭრება მოსახლეობის მიერ, ან უკანონო ძოვების შედეგად ზიანდება.

სწორედ ამ და მრავალი სხვა პრობლემის გამო, აუცილებელი ხდება არსებული სამართლებრივი ნორმების გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში ახალი რეგულაციების შემუშავება და მათი რეალობასთან მორგება.

II. ქარსაცავი ზოლების სამართლებრივი მდგომარეობა

1) სამართლებრივი ნორმები ქარსაცავი ზოლების შესახებ

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში როგორც ასეთი ქარსაცავი ზოლების შესახებ კანონი და სხვა სპეციალური სამართლებრივი ნორმები არ არსებობს. თუმცა, არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 4 სექტემბრის განკარგულება „საქართველოში დასახლებული ადგილებისა და თბილისის შემოგარენში ტყის ფონდის მიწებზე უკანონო მოქმედების შედეგად ბოლო წლებში დაზიანებული მწვანე ნარგავებისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განახლების შესახებ“, რომლის თანახმად, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ვალდებულია, მაქსიმალური ყურადღება დაუთმოს ყოფილი სახელმწიფო ქარსაცავი ზოლების აღდგენა-განახლებას ქვეყნაში დასახლებული ადგილების მიმდებარედ (მუხლი 1, პუნქტი “ბ“). როგორც საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებაშია აღნიშნული, დეპარტამენტის საქმიანობა მოიცავს თბილისსა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ რეგულაცია ვრცელდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თუმცა, რეალურად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ფუნქციები ამ საკითხში განუხორციელებელია.

2) საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ

ერთერთი საკმაოდ პრობლემატური საკითხი გახლავთ ქარსაცავი ზოლების საკუთრება, რაც ძალიან ბევრ პრაქტიკულ სირთულეებს ქმნის განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში. 2010 წლის 7 ივლისს საქართველოს კანონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, „ქარსაფარი ზოლი არის მისი მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა საერთო

საკუთრება“. ერთი შეხედვით წინადადების მარტივი ფორმულირება სულაც არ აღმოჩნდა მარტივი იმ ორგანოებისათვის, რომლებიც ქარსაცავი ზოლების დაცვასა და აღდგენაზე კონტროლს ახორციელებენ, კერძოდ მუნიციპალიტეტების ზედამხედველობის სამსახურები. ეს კანონი ძირითადად, მისი შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს რეგიონებზე ვრცელდება.

- უპირველესყოფლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული ჩანაწერი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონთან ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. კერძოდ, კანონის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაშია “თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა”. აღნიშნული პუნქტის ქვეპუნქტებში მითითებულია, თუ რა არ შედის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში და ამ ჩამონათვალში არსადაა ნახსენები ქარსაცავი ზოლები.
- მეორე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია წინამდებარე კანონის პრაქტიკულ დონეზე გამოყენების თვალსაზრისით არის ის, რომ, თუკი ქარსაცავი ზოლები ფერმერებისა და გლეხების პირად საკუთრებაში გადავა, ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც რეგიონებში ახორციელებს კონტროლს ქარსაცავი ზოლების დაცვაზე, აღარ შეეძლება შეასრულოს ამ კუთხით თავისი საქმიანობა. ქარსაცავი ზოლების უკანონო ჭრა მაშინაც კი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა, როდესაც ისინი მუნიციპალიტეტების საკუთრებას წარმოადგენდნენ. მიწის მესაკუთრეთა საკუთრებაში გადასვლით ქარსაცავი ზოლების დაცვა, მოვლა-პატრონობა და მათი აღდგენა კი შეუძლებელი გახდება.

აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას დედოფლისწყაროს რაიონიც, სადაც ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლებთან და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ფერმერები და გლეხები არ არიან ინფორმირებულნი კანონში განხორციელებული ცვლილების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის 47-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონში განხორციელებული ჩანაწერი (მე-4 მუხლის მე-8 ნაწილი) პარალელურად მოქმედებს. აუცილებელია, დროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით ვინაიდან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების

შესახებ კანონის ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ხელ-ფეხს უბოჭავს თავიანთი მოვალეობების შესრულების კუთხით.

III. ქარსაცავი ზოლების დაცვა და კონტროლი თბილისსა და მის შემოგარენში

1) ბუნებრივი რესურსების სააგენტო

2010 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად “სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის წესის შესახებ” თბილისსა და მის შემოგარენში გაშენებული ქარსაცავი ზოლები ე.წ. დაცვითი ზოლები, საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში შედიოდა. უშუალოდ სახელმწიფო ტყის ფარგლებში არსებულ ქარსაცავ ზოლებზე კონტროლს, გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციამდე, ახორციელებდა სატყეო დეპარტამენტი, რომელიც ამჟამად ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შემადგენლობაშია, თუმცა მისი ფუნქციები პრაქტიკულ დონეზე ვერ ხორციელდება მრავალი ცვლილების გამო.

კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს “ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ” დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ე.წ. დაცვითი ტყის ზოლები, ანუ ქარსაცავი ზოლები განეკუთვნება განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბანს, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი უკანონო ჭრა და დაზიანება დაუშვებელია, თუკი ჭრა არ ხორციელდება განახლების მიზნით, ე.წ. სარეკონსტრუქციო ჭრა. უკანონო ჭრის და აგრეთვე ხანძრის შემთხვევას როგორც წესი, იძიებდა გენერალური ინსპექცია, რომელსაც ბუნებრივი რესურსების სააგენტოს თანამშრომლები მიმართავდნენ არსებული დარღვევის შესახებ და შემდეგ საქმე გადაეცემოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და იგი ახორციელებდა მოძიებას, რის საფუძველზეც, კანონის დამრღვევს ეკისრებოდა ან ჯარიმა, ან დგებოდა მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 63-ე და 76-ე მუხლი).

2010 წლიდან თბილისსა და მის შემოგარენში ქარსაცავი ზოლების დაცვასა და მათზე ზედამხედველობას ახორციელებს მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური.

2) ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური

ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურს უდიდესი წვლილი მიუძღვის თბილისსა და მის შემოგარენში ქარსაცავი ზოლების დაცვის კუთხით და მას კიდევ ერთი უპირატესობა გააჩნია იმ თვალსაზრისით, რომ უშუალოდ აღნიშნული სამსახურის თავმჯდომარეს შეუძლია კანონის და სხვა ნორმატიული აქტების ახლებურად იმგვარად ფორმულირება, რომ მაქსიმალურად იქნეს ისინი რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანილი. გარდა ამისა, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურს შესაძლებლობა აქვს გავლენა იქონიოს რედაქტირებული ნორმატიული აქტების მიღებაზე, დამტკიცებასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე.

თუმცა, ამჟამად მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის დაქვემდებარებაში მხოლოდ თბილისი და მისი შემოგარენი ტერიტორიებია, სამსახურის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა იმაზეც, თუ როგორ წაადგება რეგიონებსაც ქარსაცავი ზოლების შესახებ თუ იარსებებს ჩანაწერები ისეთ კანონებსა და ნორმატიულ აქტებში, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების მოვალეობებს განსაზღვრავს.

მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური 2010 წლიდან ეწევა ქარსაფარი ზოლების გაშენებას თბილისში, კერძოდ დიდმისა და ვარკეთილის ტერიტორიაზე. აღნიშნული სამსახური უშუალოდ არ აწარმოებს კონტროლს ქარსაცავი ზოლების დაცვაზე. რაიმე სახის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მაგალითად როგორცაა უკანონო ჭრა, უკანონო ძოვება ან ხანძარი მოქალაქეთა დაუდევრობის შემთხვევაში, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური გასცემს ნებართვას ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურზე, რათა მისმა წარმომადგენლებმა განახორციელონ ამა თუ იმ ობიექტის კონტროლი, შესაბამისი ზომები მიიღონ ზემოაღნიშნული დარღვევების თავიდან აცილებისათვის და აგრეთვე, სათანადო სანქციები გამოიყენონ სამართალდამრღვევთა მიმართ. აღნიშნულ შემთხვევებში

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მიმართავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151¹-ე მუხლს.

მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური ახდენს ქალაქის გამწვანების რუკის აქტუალიზაციას ყოველ სამ კვირაში ერთხელ. ეს საშუალებას აძლევს ზედამხედველობის სამსახურს, საქმის კურსში იყოს, თუ რომელი ტერიტორიები ექვემდებარება მათ კონტროლს და სად ფიქსირდება ყველაზე მეტი საჭიროება მათი ზედამხედველობისა. თუმცა, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ქარსაცავი ზოლების დაცვაზე კონტროლს ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ. განსაკუთრებით ხშირად თბილისის შემოგარენში ქარსაცავი ზოლები ზიანდება უკანონო ძოვების შედეგად, აგრეთვე არც თუ ისე იშვიათია უკანონო ჭრა და მოქალაქეთა დაუდევრობის გამო ხანძრის გამოწვევით ქარსაცავი ზოლების განადგურება. ამის გამო მაქსიმალურად ხდება ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელთა დატრენინგება და გადამზადება.

IV. ქარსაცავი ზოლები საქართველოს რეგიონებში

იმისათვის, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, თუ რეალურად როგორ ხდება ქარსაცავი ზოლების სამართლებრივ თუ პრაქტიკულ დონეზე კონტროლი და მოვლა-პატრონობა რეგიონებში, ვისაუბროთ დედოფლისწყაროს რაიონში არსებულ მდგომარეობაზე. დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრის საფუძველზე გაირკვა, რომ საკმაოდ მრავალი პრობლემა არსებობს, რითაც გამოწვეულია ქარსაცავი ზოლების აბსოლუტური დაუცველობა არა მხოლოდ დედოფლისწყაროში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. განვიხილოთ თითოეული მათგანი დეტალურად.

1) ფერმებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის არარსებობა

უპირველესი პრობლემა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ქარსაცავი ზოლების დაზიანებას და შემცირებას რეგიონებში გახლავთ ფერმების გადაჭარბებული რაოდენობა. როგორც გამგეობის თანამშრომლებმა აღნიშნეს, დედოფლისწყაროში არ არის ფერმებისათვის გამოყოფილი სპეციალური

ტერიტორიები და შესაბამისად, გლეხებსა და ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ, ნებისმიერ, მათთვის სასურველ ადგილას გააშენონ ფერმები. უფრო მეტიც, ყოველი მეორე მიტოვებული სახლი გამოყენებულია ფერმის დანიშნულებით. იქ, სადაც არ არის საძოვარი მინდორ-ბალახი, ბუნებრივია არც უნდა არსებობდეს ფერმები. თუმცა, რეალობა რეგიონებში სულ სხვაა. გამგეობა ითხოვს, რომ არსებობდეს რაიმე რეგულაცია, რომელიც დაადგენს და გამოყოფს ტერიტორიებს ე.წ. კანონიერი ფერმების გაშენებისათვის. ამგვარი ტერიტორიების არარსებობა განაპირობებს სწორედ იმას, რომ ძროხები და ცხვრები ხშირად ქარსაცავ ზოლებს ანადგურებენ. თუმცა, შესაბამის ზედამხედველობის ორგანოებს არ შეუძლიათ აუკრძალონ ფერმერებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე უკანონო ფერმების გაშენება, ვინაიდან, მათ კანონი არ აძლევს ამის საშუალებას.

2) გარემოს დაცვის ინსპექცია

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციამდე, საქართველოს რეგიონებში ქარსაცვაში ზოლების დაცვაზე კონტროლს გარემოს დაცვის ინსპექციაც ახორციელებდა. თუმცა, სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ, მათი ფუნქციები სრულიად გადაუნაწილებელი და გაუწერელი დარჩა ამ კუთხით.

3) ზედამხედველობის სამსახურის როლი ქარსაცავი ზოლების დაცვის კუთხით

დედოფლისწყაროს მაგალითი საკმარისია იმის თვალსაჩინოებისათვის, თუ რამდენად ხშირია ქარსაცავი ზოლების დაზიანება სხვადასხვა მიზეზის გამო. განსაკუთრებით აქტუალური გახლავთ უკანონო ჭრა და უკანონო ძოვების გამო ქარსაცავი ზოლების განადგურება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძოდ გამგეობის ფარგლებში შექმნილი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის როლი ძალიან დიდია ქარსაცავი ზოლების დაცვასა და მათი მოვლა-პატრონობის კუთხით. კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ქარსაცავი ზოლების დაზიანებას, უკანონო ჭრას და მათ სხვაგვარ

ხელყოფას, გამგეობის ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის“ 239 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, შეადგინოს ოქმი, რომელსაც შემდეგ წარუდგენს განსახილველად სასამართლოს.

დედოფლისწყაროს რაიონში საკმაოდ წარმატებულად მუშაობს აღნიშნული მეთოდი, ვინაიდან, ყველაზე გავრცელებული დარღვევა ქარსაცავი ზოლების უკანონო ჭრაა. ზედამხედველობის სამსახური ამგვარ დარღვევებზე ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლით, რომლის თანახმად, „თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბუღვარში, პარკში ან სკვერში მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება“ იწვევს პიროვნების დაჯარიმებას 500 ლარის, ხოლო განმეორებით ამგვარი ქმედების ჩადენა - 1000 ლარის ოდენობით. ზედამხედველობის სამსახური, როგორც ზემოთ აღინიშნა, ადგენს ოქმს, რომელსაც წარუდგენს სასამართლოს და შემდგომში სასამართლო ახდენს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას და მისთვის სათანადო თანხის ჩამორთმევას.

თუმცა, ამ კუთხით რეგიონებში არსებობს ერთი პრობლემა. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, მაშინ, „როდესაც ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი აღვილზე შედგენა შეუძლებელია“, ასეთ დროს გამგეობა ნებას რთავს ზედამხედველობის სამსახურს, მიიღოს დადგენილება, რისი უფლებაც ზედამხედველობის სამსახურს პრაქტიკულად არ გააჩნია, ვინაიდან, მხოლოდ გამგეობას აქვს დადგენილების მიღების უფლება, რის საფუძველზეც ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ადგენენ ოქმს. ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია დედოფლისწყაროს რაიონში და შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, რომ კანონში ამის შესახებ რაიმე ჩანაწერი გაკეთდეს.

კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი გახლავთ ხანძრის შემთხვევაში ქარსაცავი ზოლების დაზიანება, რაც ძირითადად მოსახლეობის დაუდევრობითაა გამოწვეული. სამწუხაროდ, კანონში არ არსებობს მითითება იმის შესახებ, თუ რა ოდენობით დაეკისრება პასუხისმგებლობა პიროვნებას, რომლის დაუდევრობის გამო ქარსაცავ ზოლს ცეცხლი გაუჩნდება, და აგრეთვე რომელი მუნიციპალური ორგანოს მოვალეობაა, რა ღონისძიებები გაატაროს უშუალოდ ასეთ შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება

სპეციალური ჩანაწერის გაკეთება კანონში, კერძოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლში.

4) პოლიცია

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას დიდი როლი უნდა ენიჭებოდეს ქარსაცავი ზოლების დაცვისა და კონტროლის კუთხით, საქართველოს რეგიონებში ეს საკითხი სრულიად დაურეგულირებელია როგორც სამართლებრივ, აგრეთვე პრაქტიკულ დონეზე. არსებობს შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლები ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებს თავად მიჰყავთ შემთხვევის ადგილზე/ობიექტზე, რათა უბრალოდ დაფიქსირდეს პოლიციის ადგილზე ყოფნა.

ეს კი იმის აუცილებლობას ქმნის, გარკვეული ჩანაწერი ან მითითება გაკეთდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151¹ მუხლში, რომელიც ადგენს, რომ “ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანების, თვითნებური გაჩეხვის ან/და გადატანის და მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევი პირის მიერ უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს” მიმართოს პოლიციას. აღნიშნულ მუხლში საკმარისი იქნებოდა, სათაურშივე გაკეთდეს საქართველოს რეგიონებზე მითითება, რის შემდეგაც ბუნებრივად გააქტიურდება პოლიციის ჩართულობა ქარსაცავი ზოლებზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, ვინაიდან, ხშირია შემთხვევები, როდესაც სამართალდამრღვევი ფერმერი ან გლეხი ან სხვა პირი, არ ემორჩილება ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებს და კვლავ განაგრძობს უკანონო ჭრას და უკანონო ძოვებას აკრძალულ ტერიტორიაზე.

5) სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობა

ზემოხსენებული განკარგულების თანახმად „*საქართველოში დასახლებული ადგილებისა და თბილისის შემოგარენში ტყის ფონდის მიწებზე უკანონო მოქმედების შედეგად ბოლო წლებში დაზიანებული მწვანე ნარგავებისა და*

ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განახლების შესახებ“; ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანოებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უნდა გაუწიონ კონტროლი ქარსაფარი ზოლების მოვლა-პატრონობას. კერძოდ: ჩაატარონ ქარსაფარი ზოლების სრული ინვენტარიზაცია, სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გასწიონ ფერმერებსა და მოიჯარეებს შორის მათ კუთვნილ ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების დაცვისა და გაშენების აუცილებლობის შესახებ. ეს კი გულისხმობს იმას, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მრავალი ფუნქცია ეკისრება ქარსაცავი ზოლების დაცვის კუთხით რეგიონებში.

თუმცადა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, აგრეთვე იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა როგორც აღნიშნეს, არანაირი ფუნქციები და მოვალეობები არ აკისრიათ ქარსაცავი ზოლების დაცვისა და მათი აღდგენის კუთხით არათუ რეგიონებში, არამედ თბილისში და მის შემოგარენშიც კი. ფაქტია, რომ ამ კუთხით სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის დაკისრებული მოვალეობები სრულიად განუხორციელებელია.

6) ფინანსური მხარდაჭერა

დედოფლისწყაროს გამგეობის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ არანაირი ფინანსური მხარდაჭერა არ აქვთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან, იმისათვის, რათა მასშტაბურად იზრუნონ ქარსაცავი ზოლების გაშენებაზე და მათი მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებები გატარებაზე. პრეზიდენტის 2003 წლის ზემოხსენებულ განკარგულებაში წერია, რომ ფინანსთა სამინისტროს მოვალეობაა, ბიუჯეტის ფორმირებისას, გაითვალისწინოს ქარსაცავი ზოლების ინვენტარიზაციისა და მათი აღდგენა-რეაბილიტაციისათვის თანხების გამოყოფა. როგორც გაირკვა, 2003 წლამდე და არც მის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს არც ერთხელ არ გამოუყვია სათანადო თანხა დედოფლისწყაროს რაიონში ქარსაცავი ზოლების დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებისათვის.

V. რეკომენდაციები

1. არსებული სამართლებრივი ნორმების დახვეწა

ა) ქარსაცავი ზოლის ცნება

ძალიან რთულია ქარსაცავი ზოლების სამართლებრივ რეგულირებაზე საუბარი, მაშინ, როდესაც არ არსებობს ქარსაცავი ზოლის ცნება. ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსის მოადგილესთან შეხვედრისას აღმოვაჩინეთ, რომ ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის სახელმძღვანელო ლექსიკონშიც კი არ არის შეტანილი ტერმინი „ქარსაცავი ზოლი“. თუმცა, ქარსაცავი ზოლები მრავალ სამეცნიერო ნაშრომში ნახსენებია, როგორც მინდორსაცავი ტყის ზოლები.

ბატონი ვასილ ჩალაძის შემოთავაზებით, უპირიანი იქნებოდა ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ტერმინთა განმარტებაში (მე-2 მუხლი) შეტანილი იქნეს ქარსაფარი ზოლის დეფინიცია კერძოდ, დეფინიციაში აღნიშნული უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რამდენი ხე წარმოადგენს ქარსაცავ ზოლს, მაგალითად არის თუ არა სამი ერთ ზოლად დარგული ხე ქარსაცავი ზოლი. აგრეთვე დეფინიციაში განსაზღვრული უნდა იყოს, თუ რა მანძილი უნდა იყოს ქარსაცავ ზოლში დარგულ ხეებს შორს. და დეფინიციის შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს ის, თუ რისთვის არის ქარსაცავი ზოლი განკუთვნილი. შესაძლებელია დეფინიციის უფრო განვრცობილად ჩამოყალიბება.

მას შემდეგ, რაც დეფინიცია შევა ტერმინთა განმარტების ნაწილში, შესაძლებელი ხდება, ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ცალკე მუხლი დაეთმოს ქარსაცავი ზოლების დაცვას და მათ მოვლა-პატრონობას. მაგალითად, დადგენილების მე-9 მუხლი ადგენს მწვანე ნარგავების ტერიტორიის ხანძრისაგან დაცვის მოთხოვნებს. ქარსაცავი ზოლების ცნების არსებობა საშუალებას მისცემს მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურს, ცალკე გააკეთოს მითითება დადგენილებაში ქარსაცავ ზოლებზე ამგვარი მოთხოვნების დადგენისას.

ბ) საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ

ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხს რეგიონებში დღესდღეობით წარმოადგენს ქარსაცავი ზოლების მათი მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა საკუთრებაში გადასვლა.

ბა) როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის ეს ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის 47-ე მუხლის „გ“ პუნქტთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს ან ადგილობრივი თვითმმართველობის 47-ე მუხლის „გ“ პუნქტის გაუქმება; ან შესაბამისი მითითება უნდა გაკეთდეს ქარსაცავ ზოლებზე, როგორც 47-ე მუხლის „გ“ პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტში, კერძოდ, რომ ისინი არ წარმოადგენენ “თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის“ შემადგენელ ნაწილს.

ბბ) რაც შეეხება უშუალოდ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებას, ვინაიდან იგი ძალიან დიდ სირთულეს უქმნის მუნიციპალურ ორგანოებს შემდგომში ქარსაცავი ზოლების დაცვისა და მათი მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, უმჯობესია თუ მე-4 მუხლის მე-8 ნაწილი შემდეგნაირად იქნება ჩამოყალიბებული: „ქარსაფარი ზოლი არის მისი მომიჯნავე მიწის მესაკუთრეთა საერთო საკუთრება, თუმცა მისი დაცვისა და კონტროლის ფუნქციებს ინარჩუნებენ შესაბამისი მუნიციპალური ორგანოები.“

გ) ქარსაფარი ზოლების დაზიანება ხანძრის შედეგად

სამწუხაროდ თბილისშიც და რეგიონებშიც ძალიან ხშირია მოქალაქეთა დაუდევრობის გამო გამოწვეული ხანძრის შედეგად ქარსაცავი ზოლების დაზიანება ან მათი განადგურება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე და 151¹-ე მუხლებში გამოიყენება ტერმინი „დაზიანება“. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც ზიანის შეფასების სათანადო მექანიზმების არარსებობის გამო, ძნელი ხდება პიროვნების დაჯარიმება მისი

ქმედებით გამოწვეული ზიანის ოდენობიდან გამომდინარე და ამის საშუალებას არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იძლევა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუკი ზემოაღნიშნულ 151-ე და 151¹-ე მუხლებში ცალკე პუნქტად იქნება გამოყოფილი „მწვანე ნარგავების ხანძრის შედეგად დაზიანება“, რომელზეც მითითებული იქნება ჯარიმის ოდენობა ქმედების პირველადი და განმეორებითი ჩადენის შემთხვევაში.

2. ახალი ნორმატიული აქტის შემუშავების საჭიროება ქარსაცავი ზოლების შესახებ

ქარსაცავი ზოლების შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმების სიმწირე ნაკლებად რეალურია იმის მისაღწევად, რომ ქარსაცავ ზოლები მყარად იქნეს სამართლებრივად რეგულირებული. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ იარსებებს ცალკე ნორმატიული აქტი მხოლოდ ქარსაცავი ზოლების შესახებ. აღნიშნული ნორმატიული აქტის სახელწოდება შეიძლება იყოს „დადგენილება საქართველოში ქარსაცავი ზოლების გაშენებისა და მათი მოვლა-პატრონობის შესახებ“ ან უბრალოდ „დადგენილება ქარსაცავი ზოლების შესახებ“.

აღნიშნული ნორმატიული აქტი სტრუქტურულად შემდეგნაირად უნდა იქნეს აგებული:

- ქარსაცავი ზოლის განმარტება (ცნება);
- ქარსაცავი ზოლების კატეგორიები;
- ქარსაცავი ზოლების გაშენების წესი, სადაც აღწერილი იქნება პარამეტრები, მანძილები, ტერიტორიების სახეები, ნიადაგის სახეობა და სხვა;
- ქარსაცავი ზოლების საკუთრება, სადაც გამიჯნული იქნება ეს საკითხი ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით;
- ქარსაცავი ზოლების განმკარგავი ორგანოები და მათი ფუნქციები, კერძოდ ორგანოები, რომლებსაც ქარსაცავი ზოლების მოვლა-პატრონობა ევალებათ. კარგი იქნება, თუ ქარსაცავ ზოლებზე კონტროლის ფუნქცია ერთი უწყების ხელში მოექცევა;
- დაბოლოს, თუ რა სანქციები შეიძლება მოჰყვეს ქარასაფარი ზოლების დაზიანებას.

VI. დანართები

კანონებისა და ნორმატიული აქტების ჩამონათვალი

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ;
- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ;
- საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 4 სექტემბრის განკარგულება საქართველოში დასახლებული ადგილებისა და თბილისის შემოგარენში ტყის ფონდის მიწებზე უკანონო ქმედების შედეგად ბოლო წლებში დაზიანებული მწვანე ნარგავებისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განახლების შესახებ;
- ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის დადგენილება ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ
- ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის დებულება
- ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის პროექტი ქ. თბილისის დემეტრე თავდადებულის ქუჩის გაყოლებაზე ქარსაფარი ზოლის გაშენება

შესვედრები:

1. გელა თეთრაული – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
2. ნათია იორდანაშვილი – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს სპეციალისტი
3. მაია ჩხობაძე – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს თანამშრომელი
4. ვასილ ჩალაძე – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე

I. Aim of the report and the importance of windbreaks

The following report aims to present and evaluate the existed law regulations about the windbreaks in Georgia. Due to the fact that there are almost no regulations about windbreaks, it is very difficult to talk about their legal status. But still there are a few useful regulations, upon which it is possible to establish what an important role have windbreaks in reality for the environmental protection in Georgia and also how these regulations correspond to the Georgian reality. Discussion of practical examples makes it clear how legally unregulated the windbreaks, their protection and control system are.

